წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის
31 მაისის N01 გადაწყვეტილების
დანართი 1
(კოდიფიცირებული: ცვლილება N07-01/08, 12.02.2024წ.

ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს
რეგლამენტი

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდეგში ,,უნივერსიტეტი“ ან ,,ბსუ“) წარმომადგენლობითი საბჭოს რეგლამენტი განსაზღვრავს წარმომადგენლობითი საბჭოს უფლებამოსილების განხორციელების წესსა და პროცედურას.
2. წარმომადგენლობითი საბჭო თავის საქმიანობას ახორციელებს საქართველოს კონსტიტუციის, ,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, უნივერსიტეტის წესდებისა და სხვა აქტების შესაბამისად.
3. წარმომადგენლობით საბჭოს აქვს ბეჭედი და ბლანკი წარწერით: ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო“.

მუხლი 2. წარმომადგენლობითი საბჭოს არჩევის წესი

1. წარმომადგენლობითი საბჭო არის უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი ორგანო, რომელიც აირჩევა 4 წლის ვადით, უნივერსიტეტის ფაკულტეტებიდან წარმომადგენლობის საფუძველზე, სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის მიერ ცალ-ცალკე.
2. წარმომადგენლობით საბჭოში ფაკულტეტების წარმომადგენელთა რაოდენობა განისაზღვრება რექტორის ბრძანებით, ფაკულტეტებზე სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის რაოდენობის პროპორციულად. წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა მინიმალური რაოდენობა არ შეიძლება იყოს აკადემიური საბჭოს წევრთა ორმაგ რაოდენობაზე ნაკლები.
3. წარმომადგენლობითი საბჭოს არჩევა ხდება უნივერსიტეტის ფარგლებში, საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი არჩევნების საფუძველზე ფარული კენჭისყრით, წესდებით განსაზღვრული წესით.
4. სტუდენტები შეადგენენ წარმომადგენლობითი საბჭოს სრული შემადგენლობის ერთ მესამედს. სტუდენტთა რაოდენობის დასადგენად დამრგვალება ხორციელდება სტუდენტთა სასარგებლოდ.
5. წარმომადგენლობითი საბჭოს შემადგენლობაში შედის აკადემიური საბჭოს მიერ სრული შემადგენლობის უმრავლესობით არჩეული უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი, ასევე უნივერსიტეტის თითოეული დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულიდან

უნივერსიტეტის წესდებით განსაზღვრული წესით არჩეული ერთი წარმომადგენელი.

6. წარმომადგენლობით საბჭოს შემადგენლობაში არ შეიძლება არჩეული იყვნენ ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის წარმომადგენლები, აგრეთვე აკადემიური საბჭოს წევრები.
7. წარმომადგენლობით საბჭოში სტუდენტებს ირჩევს ფაკულტეტის ყველა სტუდენტი, მათ შორის ასისტენტი. იგი არჩევნებში მონაწილეობს, როგორც სტუდენტი.
8. აკადემიური პერსონალის წარმომადგენლებს წარმომადგენლობით საბჭოში ირჩევს ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი, გარდა ასისტენტისა.
9. უნივერსიტეტის თითოეული დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის ადმინისტრაციული და სამეცნიერო პერსონალის მიერ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრად აირჩევა სამეცნიერო პერსონალის ერთი წარმომადგენელი.
10. დაუშვებელია:

ა) ერთი და იგივე პირი იყოს ორი ან მეტი დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის წარმომადგენელი უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოში და წარმომადგენლობით საბჭოში;

ბ) ერთი და იგივე პირი იყოს დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის წარმომადგენელი როგორც უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოში, ასევე უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოში;

გ) დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის დირექტორი აირჩიონ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრად;

დ) პირს, რომელსაც უნივერსიტეტში უკავია ერთდროულად აკადემიური და სამეცნიერო თანამდებობები, წარმოადგენდეს აკადემიურ და წარმომადგენლობით საბჭოებში როგორც შესაბამის ფაკულტეტს, ასევე სამეცნიერო-კვლევით ერთეულს;

ე) ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს წევრი იმავდროულად იყოს ბსუ-ს აკადემიური საბჭოს წევრი;

ვ) წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერს უნივერსიტეტში იმავდროულად ეკავოს ადმინისტრაციული თანამდებობა.

მუხლი 3. წარმომადგენლობითი საბჭოს უფლებამოსილების ცნობა, სპიკერისა და მდივნის არჩევა

1. წარმომადგენლობითი საბჭოს პირველის სხდომა მოიწვევა უნივერსიტეტის რექტორის მიერ არჩევნების საბოლოო შედეგების გამოქვეყნებიდან არაუგვიანეს 5 დღისა.

2. საბჭოს პირველ სხდომას თავმჯდომარეობს წარმომადგენლობითი საბჭოს უხუცესი წევრი. სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება სიითი შემადგენლობის უმრავლესობა. ამავე სხდომაზე ხდება ახალარჩეული წარმომადგენლობითი საბჭოს უფლებამოსილების ცნობა.

3. წარმომადგენლობითი საბჭო უფლებამოსილების ცნობის შემდეგ ირჩევს სპიკერს, ფარული კენჭისყრით, საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის უმრავლესობით. კენჭისყრის ფარულობას უზრუნველყოფს უნივერსიტეტის საარჩევნო კომისია, რომელსაც სპიკერის კანდიდატურა წარედგინება წარმომადგენლობითი საბჭოს

არჩეული წევრების არანაკლებ 10 პროცენტის მიერ, წარმომადგენლობითი საბჭოს არჩევნების საბოლოო შედეგების გამოქვეყნებიდან არაუგვიანეს 3 დღეში. (ცვლილება N07-01/08, 12.02.2024წ.

4. წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერის ორი ან მეტი კანდიდატურის წარდგენის შემთხვევაში თუკი ვერცერთმა მიიღო წარმომადგენლობითი საბჭოს სიითი შემადგენლობის უმრავლესობის ხმები, იმავე დღეს უმეტესი ხმების მქონე ორ კანდიდატს შორის ტარდება განმეორებითი კენჭისყრა, ასეთ შემთხვევაში სპიკერად არჩეულად ჩაითვლება პირი, რომელიც მიიღებს ხმათა მეტ რაოდენობას, მაგრამ არანაკლებ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ერთი მესამედისა. იგივე წესი ვრცელდება იმ შემთხვევაზე, თუკი კენჭისყრაში მონაწილეობს ერთი კანდიდატი. თუ ასეთ შემთხვევებში ვერ იქნება არჩეული სპიკერი, არაუგვიანეს 5 სამუშაო დღეში უნდა გაიმართოს ხელახალი კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს წარმომადგენლობითი საბჭოს არჩეული წევრების არანაკლებ 10 პროცენტის მიერ ბოლო კენჭისყრის გამართვიდან მომდევნო 3 სამუშაო დღეში წარმოდგენილი სხვა კანდიდატი (ები). (ცვლილება N07-01/08,12.02.2024წ.)

5. წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი არ წარმოადგენს ადმინისტრაციული თანამდებობის პირს. სპიკერი თავმჯდომარეობს წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომებს და ორგანიზებას უწევს მის მუშაობას. (ცვლილება N07-01/08, 12.02.2024წ.)

6. წარმომადგენლობითი საბჭოს მდივანი აირჩევა საბჭოს შემადგენლობიდან (გარდა სტუდენტისა), საბჭოს უფლებამოსილების ვადით.

მუხლი 4. წარმომადგენლობითი საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადაზე ადრე შეწყვეტა

1. წარმომადგენლობითი საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საფუძვლებია:

ა) პირადი სურვილი;

ბ) მის მიმართ სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლა;

გ) გარდაცვალება;

დ) სასამართლოს მიერ შეზღუდულქმედუნარიანად აღიარება ან მხარდაჭერის მიმღებად ცნობა, თუ სასამართლოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული;

ე) ამ დაწესებულების აკადემიური/სამეცნიერო თანამდებობიდან გათავისუფლება ან სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა;

2. დაუშვებელია უფლებამოსილება შეწყვეტილი აკადემიური პერსონალის წევრის ნაცვლად არჩეული იქნეს სტუდენტი და პირიქით.

3. წარმომადგენლობითი საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში ამ წარმომადგენლობითი საბჭოს უფლებამოსილების ვადით მისი წევრი ხდება კანდიდატი, რომელმაც შესაბამის არჩევნებში უფლებამოსილება შეწყვეტილი წევრის შემდეგ ხმების უმეტესი რაოდენობა მოაგროვა. ასეთის არარსებობის შემთხვევაში არჩევნები ტარდება შესაბამისი წარმომადგენლის ასარჩევად უფლებამოსილებაშეწყვეტილი წევრის დარჩენილი ვადით.

4. წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერისა და მდივნის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საფუძველია:
ა) პირადი სურვილი;
ბ) მის მიმართ სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლა;
გ) გარდაცვალება;
დ) სასამართლოს მიერ შეზღუდულქმედუნარიანად აღიარება ან მხარდაჭერის მიმღებად ცნობა, თუ სასამართლოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული;
ე) უნივერსიტეტის აკადემიური თანამდებობიდან გათავისუფლება;
5. ფაკულტეტის რეორგანიზაციის შემთხვევაში მის წარმომადგენლებს წარმომადგენლობით საბჭოში უწყდებათ წევრის სტატუსი და ცხადდება არჩევნები რეორგანიზებული ფაკულტეტის/ფაკულტეტების წარმომადგენელთა ასარჩევად. არჩევნების ჩატარებამდე საბჭო მუშაობას განაგრძობს ძველი შემადგენლობით.

მუხლი 5. წარმომადგენლობითი საბჭოს უფლებამოსილება (ფუნქციები)
(ცვლილება N07-01/08, 12.02.2024წ.)

1. წარმომადგენლობითი საბჭო თავისი კომპეტენციის ფარგლებში იღებს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს – გადაწყვეტილებას, აგრეთვე განცხადებას და მიმართვას, რომელსაც ხელს აწერს სპიკერი, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში - საბჭოს წევრთაგან არჩეული სხდომის თავმჯდომარე.
2. წარმომადგენლობითი საბჭო ,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და ბსუ-ს წესდების შესაბამისად იღებს გადაწყვეტილებებს უნივერსიტეტის ბიუჯეტის, სტრუქტურის, საფინანსო საქმიანობის, პერსონალის მართვის პოლიტიკის, პერსონალის სამსახურში მიღების, სტრუქტურული ერთეულების დებულებების დამტკიცების შესახებ და გამოსცემს უნივერსიტეტის ძირითადი საქმიანობის მარეგულირებელ სამართლებრივი აქტებს, მათ შორის:
2.1. შეიმუშავებს უნივერსიტეტის წესდებას აკადემიური საბჭოს მონაწილეობით, ასევე იღებს გადაწყვეტილებებს წესდებაში ცვლილებებისა და/ან დამატებების შეტანის შესახებ, სრული შემადგენლობის უმრავლესობით და დასამტკიცებლად წარუდგენს შესაბამის სამინისტროს;
2.2. შეიმუშავებს და ამტკიცებს უნივერსიტეტის შინაგანაწესს, უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსსა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმებს;
2.3. ამტკიცებს უნივერსიტეტის ბიუჯეტის შედგენის წესსა და სტრუქტურული ერთეულების დებულებებს;
2.4. ირჩევს წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერს;
2.5. ამტკიცებს წარმომადგენლობითი საბჭოს რეგლამენტს, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით.
2.6. თავისი შემადგენლობიდან ირჩევს წარმომადგენლობითი საბჭოს მდივანს, რომლის ფუნქციებიც განისაზღვრება წინამდებარე რეგლამენტით;
2.7. სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ამტკიცებს უნივერსიტეტის ბიუჯეტს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წარდგინებით;
2.8. სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ამტკიცებს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წლიურ ანგარიშს;
2.9. ამტკიცებს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის სტრუქტურას ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წარდგინებით;

2.10. ამტკიცებს დამხმარე პერსონალის სამსახურში მიღების წესს, შრომის ანაზღაურების ოდენობასა და პირობებს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წარდგინებით;

2.11. აკადემიური საბჭოს მოტივირებული წინადადებით ან საკუთარი ინიციატივით უფლებამოსილია ვადამდე შეუწყვიტოს უფლებამოსილება ადმინისტრაციის ხელმძღვანელს საბჭოს წევრთა სრული შემადგენლობის უმრავლესობით;

2.12. **აკადემიური საბჭოს წარდგინებით:**

ა) ამტკიცებს აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების ერთიან წესს, შრომის ანაზღაურების ოდენობასა და პირობებს;

ბ) ამტკიცებს აკადემიური პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის წესს და სტუდენტთა რაოდენობის (კონტიგენტის) განსაზღვრის წესს;

გ) ამტკიცებს უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების სამეცნიერო პერსონალის სამსახურში მიღების წესს და სამეცნიერო თანამდებობის დაკავების დამატებით პირობებს;

დ) ამტკიცებს აკადემიური პერსონალის აფილირების, აკადემიური და მოწვეული პერსონალის შრომის დატვირთვის და ანაზღაურების წესს, მათ შორის სტუდენტთა ჯგუფებში ზღვრულ რაოდენობას;

ე) იღებს გადაწყვეტილებას უნივერსიტეტის ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულების – ფაკულტეტების და დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების (ინსტიტუტების) შექმნის, რეორგანიზაციის ან გაუქმების შესახებ;

ვ) სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ამტკიცებს (ირჩევს) უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის კანდიდატურებს;

ზ) ამტკიცებს პროფესორებისა და სამეცნიერო პერსონალის ატესტაციის წესს (პროცედურულ საკითხებს და საკონკურსო-საატესტაციო კომისიის მუშაობის წესს);

თ) იღებს გადაწყვეტილებას უნივერსიტეტის მიერ სამეწარმეო (კომერციული) და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დაფუძნების შესახებ;

2.13. სიითი შემადგენლობის უმრავლესობით მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე უფლებამოსილია ვადამდე შეუწყვიტოს უფლებამოსილება უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს;

2.14. ამტკიცებს უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის დებულებას;

2.15. შეიმუშავებს და ამტკიცებს უნივერსიტეტის პერსონალის მართვის პოლიტიკას და უნივერსიტეტის მართვის ეფექტიანობის მონიტორინგის წესს, რექტორის და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წარდგინებით;

2.16. განსაზღვრავს უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის საფასურს და შეიმუშავებს სწავლის საფასურის გადახდის წესს;

2.17. ამტკიცებს უნივერსიტეტის ბიუჯეტის ფარგლებში, სტუდენტთა სოციალური დაცვის სხვადასხვა პროგრამებს, მათ შორის სოციალური პროგრამის „სტუდენტთა შეღავათები სწავლის საფასურში“ განხორციელების წესს;

2.18. აწესებს უნივერსიტეტის სტუდენტის მიერ სხვადასხვა ღონისძიებაში მონაწილეობისათვის ერთჯერადად წამახალისებელი ფულადი ჯილდოს ოდენობას;

2.19. შეიმუშავებს და ამტკიცებს უნივერსიტეტში სტაჟირების გავლის წესს;

2.20. ამტკიცებს უნივერსიტეტის სტუდენტთათვის სტიპენდიების დანიშვნისა და გაცემის წესს;

2.21. ამტკიცებს ბსუ-ში სტუდენტური ინიციატივებისა და პროექტების წარდგენისა და დაფინანსების წესს;

2.22. ადგენს ბსუ-ს პერსონალისა და სტუდენტების სხვადასხვა ღონისძიებებში (კონფერენცია, კონგრესი, სემინარი, ტრენინგი, საგანმანათლებლო, კულტურული და სპორტული და სხვა) მონაწილეობის დაფინანსების რეგულაციებს;

2.23. ამტკიცებს უნივერსიტეტის ფაკულტეტების ან/და დამოუკიდებელ სამეცნიერო–კვლევითი ერთეულებში ჩასატარებელი კვლევების/მომსახურების საფასურს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წარდგინებით;

2.24. ამტკიცებს ბსუ-ს პერსონალის პროფესიული განვითარების და წახალისების წესს;

2.25. ახორციელებს წესდებით, შინაგანაწესითა და საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.

3. უნივერსიტეტის უძრავი ქონების შეძენა, გასხვისება, იჯარით გაცემა ან დატვირთვა, შეიძლება მხოლოდ უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებით, უნივერსიტეტის სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი სამინისტროს და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს თანხმობით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
4. უნივერსიტეტის მოძრავ ქონებასთან დაკავშირებით ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღება, თუ იგი სცილდება საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ფარგლებს, შეიძლება მხოლოდ უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებით, უნივერსიტეტის სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი სამინისტროს თანხმობით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 6. წარმომადგენლობითი საბჭოს მუშაობის წესი

1. წარმომადგენლობითი საბჭო, როგორც წესი, იკრიბება თვეში ერთხელ ან საჭიროებისამებრ, სხდომა მოიწვევა სპიკერის ან წარმომადგენლობითი საბჭოს წევრების არანაკლებ 1/3-ის ინიციატივით.
2. წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი.წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომებს უძღვება სპიკერი ან მისივე დავალებით საბჭოს ერთ-ერთი წევრი, სპიკერის არყოფნის შემთხვევაში კი, საბჭოს წევრთაგან არჩეული სხდომის თავმჯდომარე.
3. წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის დაწყებამდე, წარმომადგენლობითი საბჭოს წევრი შესაბამის სარეგისტრაციო ფორმაზე ხელმოწერით აფიქსირებს სხდომაზე გამოცხადების ფაქტს (რეგისტრაცია სამდივნოში), რაც დაერთვის სხდომის ოქმს. წარმომადგენლობითი საბჭოს წევრი ასევე ვალდებულია, სხდომის გამართვამდე წერილობით შეატყობინოს წარმომადგენლობითი საბჭოს სამდივნოს უფროსს სხდომაზე გამოუცხადებლობის მიზეზის შესახებ და არაუგვიანეს მომდევნო სხდომისა წარადგინოს შესაბამისი დოკუმენტაცია (ცნობა ან/და სხვა სახის მტკიცებულება, ასეთის არსებობის შემთხვევაში).

4. სამდივნოს უფროსი წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის დაწყებისთანავე წარუდგენს ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ ინფორმაციას (დოკუმენტაციას) წარმომადგენლობით საბჭოს.
5. წარმომადგენლობითი საბჭოს წევრის შვებულებაში (ქალაქგარეთ) ან მივლინებაში ყოფნისას წარმომადგენლობითი საბჭო უფლებამოსილია სხდომაზე მისი ჩართვა და კენჭისყრაში მონაწილეობა განახორციელოს ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით იმგვარად, რომ უზრუნველყოფილი იყოს წარმომადგენლობითი საბჭოს წევრის პირდაპირი ვიზუალური კონტაქტი და შესაძლებელი იყოს მისი ხმის იდენტიფიცირება.
6. წარმომადგენლობითი საბჭოს წევრის მიერ წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე ან/და სხვა დაგეგმილ სამუშაო შეხვედრაზე არასაპატიო მიზეზით ზედიზედ 3-ჯერ, ხოლო ერთი წლის განმავლობაში 6-ჯერ გამოუცხადებლობა მიიჩნევა წარმომადგენლობითი საბჭოს წევრის მხრიდან ჩადენილ უხეშ დისციპლინურ გადაცდომად და არაეთიკურ ქმედებად.
7. წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე განსახილველი საკითხის შესახებ განაცხადი, გადაწყვეტილების პროექტთან ერთად, როგორც წესი წარმომადგენლობითი საბჭოს სამდივნოს უნდა წარედგინოს სხდომის გამართვამდე არაუგვიანეს 1 (ერთი) კვირისა. წარმომადგენლობითი საბჭოს სამდივნოს უფროსი წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერთან შეთანხმებით სხდომის დღის წესრიგის პროექტს (გადაწყვეტილებების პროექტებთან ერთად) დაუგზავნის წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებს, რომელთაც შეუძლიათ 2 (ორი) დღის ვადაში დღის წესრიგის პროექტში დამატებით შეიტანონ განსახილველი საკითხები. წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის დღის წესრიგის საბოლოო პროექტი 3 (სამი) დღით ადრე ქვეყნდება ბსუ-ს ოფიციალურ ვებგვერდზე და სტრუქტურული ერთეულების (კანცელარიასთან, ფაკულტეტების და დამოუკიდებელი კვლევითი ერთეულების) საინფორმაციო დაფებზე. წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი სხდომის დაწყებისთანავე წარადგენს დღის წესრიგს, რომელსაც საბჭო ამტკიცებს დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით,მაგრამ არანაკლებ სრული შემადგენლობის 1/3-ისა.
8. წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომა არის საჯარო. საბჭოს სხდომაზე მონაწილეობის მისაღებად შესაძლებელია მოწვეული იქნან პირები, რომლებიც დაკავშირებულნი არიან სხდომის დღის წესრიგით განსაზღვრულ საკითხთან. კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევის გარდა, წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე კენჭისყრა არის ღია (თანხმობა დასტურდება ხელის აწევით). კენჭისყრის მიმდინარეობისას იკრძალება წარმომადგენლობითი საბჭოს წევრის მიერ სხდომის დარბაზის დატოვება.
9. წარმომადგენლობითი საბჭოს დამსწრე წევრთა 2/3-ის გადაწყვეტილებით შესაძლებელია წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომა ან მისი ნაწილი (რომელიმე საკითხის გარკვევისას) დაიხუროს ან ჩატარდეს ფარული კენჭისყრა.
10. საბჭოს სხდომა მიმდინარეობს არაუმეტეს 3 (სამი) საათისა. სხდომის მიმდინარეობა შეიძლება გაგრძელდეს დამსწრე საბჭოს წევრთა 2/3-ის გადაწყვეტილებით.
11. მომხსენებელთა გამოსვლის (პროექტის წარმოდგენის) დრო არ უნდა აღემატებოდეს 15 წუთს, ხოლო საბჭოს წევრის მიერ მოსაზრების წარდგენა - 5 წუთს. ერთ და იმავე საკითხზე მოსაზრება საბჭოს წევრმა შეიძლება გამოთქვას მხოლოდ ორჯერ. ეს დრო შეიძლება შეიცვალოს საბჭოს სპიკერის გადაწყვეტილებით. წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერს შეუძლია სხდომის მიმდინარეობა გარკვეული დროით შეაჩეროს ან

საერთოდ შეწყვიტოს, თუ დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები აქტუალური აღარ არის ან ამოწურულია.

12. გადაწყვეტილება მართებულად ჩაითვლება, თუ მას ხმას მისცემს სხდომის მონაწილე წევრთა შემადგენლობის უმრავლესობა, მაგრამ არანაკლებ სრული შემადგენლობის 1/3-ისა. ხმების გაყოფისას საბჭოს სპიკერის ხმა გადამწყვეტია. წარმომადგენლობითი საბჭოს წევრს არ აქვს ხმის მიცემისგან თავის შეკავების უფლება.
13. წარმომადგენლობითი საბჭოს დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხზე, მისთვის კანონმდებლობითა და წინამდებარე რეგლამენტით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში, კენჭისყრის შედეგად იღებს გადაწყვეტილებას, რომელსაც ხელს აწერს სპიკერი (სხდომის თავმჯდომარე) და დაერთვის ოქმს.
14. წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილება ქვეყნდება ბსუ-ს ოფიციალურ ვებგვერდზე, ხოლო ბსუ-ს ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში, გაზეთში ,,ბათუმის უნივერსიტეტი“ - წარმომადგენლობითი საბჭოს შესაბამისი გადაწყვეტილებით განსაზღვრულ შემთხვევებში.
15. წარმომადგენლობითი საბჭოს თითოეული სხდომის შესახებ წარმომადგენლობითი საბჭოს სამდივნოს უფროსი (ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში საბჭოს მდივანი) ადგენს ოქმს. სხდომის მიმდინარეობა ასევე შეიძლება ჩაიწეროს აუდიო ფირზე (ჩაწერას და ასევე ჩანაწერის შენახვას უზრუნველყოფს წარმომადგენლობითი საბჭოს სამდივნო).
16. წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის ოქმში უნდა მიეთითოს:

    ა) სხდომის თარიღი, დრო და ადგილი;
    ბ) სხდომის თავმჯდომარის, წევრების, ასევე მოწვეულ პირთა ვინაობა;
    გ) დღის წესრიგი;
    დ) სიტყვით გამომსვლელთა ტექსტის (მოკლე) შინაარსი;
    ე) კენჭისყრის შედეგები;
    ვ) მიღებული გადაწყვეტილება.
17. სხდომის ოქმს დაერთვის გამომსვლელთა (მომხსენებელთა) მიერ წარმოდგენილი წერილობითი მასალა.
18. ოქმს ხელს აწერს წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი (სხდომის თავმჯდომარე) და საბჭოს სამდივნოს უფროსი (საბჭოს მდივანი). ოქმის ბოლო გვერდზე დაისმება წარმომადგენლობითი საბჭოს ბეჭედი.

მუხლი 7. წარმომადგენლობითი საბჭოს სამდივნო

1. წარმომადგენლობითი საბჭოს საქმიანობის ორგანიზაციულ, დოკუმენტურ და საინფორმაციო მომსახურებას ახორციელებს წარმომადგენლობით საბჭოს სამდივნო.
2. წარმომადგენლობითი საბჭოს სამდივნოს უფროსი:

ა) წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერთან შეთანხმებით ადგენს სხდომის გამართვის თარიღს, სხდომის დღის წესრიგის პროექტს და ამ რეგლამენტის შესაბამისად, თანდართულ პროექტებთან და სხვა მასალასთან ერთად აწვდის ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებს;

ბ) ორგანიზებას უწევს სხდომის დღის წესრიგის პროექტებისა და მიღებული გადაწყვეტილებების ბსუ-ს ოფიციალურ ვებგვერდზე, ასევე საჭიროების შემთხვევაში ბსუ-ს ოფიციალურ გაზეთში ,,ბათუმის უნივერსიტეტი“ გამოქვეყნებას;

გ) უზრუნველყოფს წარმომადგენლობითი საბჭოს წევრების სხდომაზე გამოცხადების შესახებ ინფორმაციის (გამოცხადების შემთხვევაში - ხელმოწერებით დადასტურება; გამოუცხადებლობის შემთხვევაში - საპატიო მიზეზის მითითება) აღრიცხვას;
დ) აწარმოებს წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის ოქმს და უზრუნველყოფს აუდიოფირზე ჩაწერის გამართულობას;
ე) ვალდებულია წარმომადგენლობითი საბჭოს აქტები დროულად მიაწოდოს (სხდომის გამართვიდან არაუგვიანეს 3 სამუშაო დღისა) ბსუ-ს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს და პირებს;
ვ) უზრუნველყოფს წარმომადგენლობითი საბჭოს საქმისწარმოებას (სამსახურეობრივი მიმოწერა, სხდომის ოქმების/გადაწყვეტილებების/განცხადებების/მიმართვების აღრიცხვა და კანონმდებლობით დადგენილი წესით შენახვა, ასევე აუდიოჩანაწერების შენახვა);
ზ) პასუხისმგებელია წარმომადგენლობითი საბჭოს ბეჭდის გამოყენებაზე და შენახვაზე;
თ) უზრუნველყოფს წარმომადგენლობითი საბჭოს კომპეტენციას მიკუთვნებული ინფორმაციის (სამართლებრივი აქტების), როგორც რეაქტიულ, ისე პროაქტიულ გამოქვეყნებას (საჯარო ინფორმაცია), ბსუ-ს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებთან თანამშრომლობით;
ი) აწარმოებს წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა საკონტაქტო მონაცემების შეგროვებას და შენახვას, ასევე მათი სხდომაზე გამოუცხადებლობის მონაცემების სტატისტიკურ აღრიცხვას (აწვდის ინფორმაციას წარმომადგენლობით საბჭოს ამ რეგლამენტით დადგენილი შემთხვევის დადგომიდან არაუგვიანეს მომდევნო სხდომაზე).
3. წარმომადგენლობითი საბჭოს სამდივნო კალენდარული წლის დასრულებიდან არაუგვიანეს ერთი თვისა, წარმომადგენლობითი საბჭოს საქმისწარმოების მასალებს (ნომენკლატურის შესაბამისად) გადასცემს შესანახად ბსუ-ს კანცელარიას (არქივს).

მუხლი 8. რეგლამენტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი

წამომადგენლობითი საბჭოს რეგლამენტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებით.